პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 241 (9652) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ქალები ვაჟების წინაალმდეგ

21 დეკემბერს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში იწყება მეტად საინტერესო ორწრიანი ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც ოთხი ქალი და ამდენივე ვაჟი მიიღებს მონაწილეობას. თითოეული ქალი ორ-ორჯერ შეხვდება თითოეულ ვაჟს. ცალ-ცალკე გამოვლინდებიან გამარჯვებულნი ქალთა და ვაჟთა შორის და, რაღა თქმა უნდა, ტურნირს საერთო გამარჯვებულიც ეყოლება.

საინტერესოა, რომ ამ ტურნირში მონაწილეობენ თანამედროვეობის უძლიერესი მოჭადრაკე ქალები, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, საზღვარგარეთის უძლიერესი მოჭადრაკეები, უნგრელი ჟუჟა პოლგარი და შვედი პია კრამლინგი.

სუსტი სქესის წარმომადგენლებს მეტად ძლიერ მოჭადრაკე ვაჟებთან მოუწევთ თავიანთი „უფლებების დაცვა". ესენი არიან საერთაშორისო დიდოსტატები, ამერიკელი მაქსიმ დლუგი და დასავლეთგერმანელი ერიკ ლობრონი, ინგლისელი და ბელგიელი საერთაშორისო ოსტატები უილიამ უოტსონი და ლუი ვინანტსი.

ერთი სიტყვით, გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩის შემდეგ ჭადრაკის ქომაგთა მთელი ყურადღება ბრიუსელის ტურნირისკენ იქნება მიმართული. ჩვენ კი მკითხველებს ვპირდებით, რომ შევახვედრებთ ბრიუსელიდან დაბრუნებულ ჩვენს თანამემამულეებს. ვფიქრობთ, ისინი ბევრ საინტერესოს გვიამბობენ ამ ტურნირის შესახებ.

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „გავშვებს ან არ პპირდებიან, ან დაპირებას უსრულებენ"

„ლელოს" 14 ნოემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ნუცუბიძის პირველი მიკრორაიონის მე-10 კორპუსის მიმდებარე მარტივი ტიპის სპორტულ მოედანზე ასფალტის საფარი დაიგება მომავალი წლის 15 იანვრამდე.

ზ. ბიბილეიშვილი,
თბილისის სახალხო დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

## შეასპინძლებს გორი

ეს ტურნირი, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს, ამიტომ, უეჭველია, 19 დეკემბერს გორის ცირკში ხალხმრავლობა იქნება. ამ დღეს აქ გაიმართება საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში, ასე რომ, გორელებს, ახლომახლო რაიონებსა და სოფლებში მცხოვრებ ჭიდაობის მოყვარულებს საინტერესო სანახაობა ელით.

ამ პრესტიჟულ ტურნირში საასპარეზოდ შეიკრიბებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სამბისტები. საქართველოს ღირსებას დაიცავენ ჯემალ მჭედლიშვილი, მალხაზ და გელა ბერუაშვილები, ავთანდილ გუბელაძე, იოსებ ჯიჩოშვილი, დავით დავითაშვილი, ბესიკ გულიაშვილი და სხვები.

შეჯიბრება დაიწყება 10 საათზე, მთავარი ორთაბრძოლები გაიმართება 17 საათზე.

### წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

აკრობატიკაში — ჯონდო მარიდაშვილს (თბილისი, „შრომითი რეზერვები");

საჭადრაკო კომპოზიციაში — ვაჟა ნეიძეს (თბილისი, პროფკავშირები).



[illegible]

მონაკო. საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ცურვაში ევროპის თასი დაისაკუთრა. მეორე ადგილზე გასულ გფრ-ის გუნდს მან 39 ქულით აჯობა. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ დნეპროპეტროვსკელ ვადიმ იაროშჩუკის წარმატება, რომელიც სამ დისტანციაზე პირველი იყო, თანაც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 25-მეტრიანი აუზებისთვის — 1.59,12.

ჰონოლულუ. ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში მონაწილეობა მიიღო 9 ათასმა სტაიერმა. ამინდი ხელს არ უწყობდა მოასპარეზეებს: მთელი შეჯიბრების მანძილზე წვიმდა. დისტანცია ყველაზე სწრაფად აფრიკელმა ათლეტმა, 29 წლის კენიელმა იბრაჰიმ ჰუსეინმა გაირბინა — 2:18. 26. იგი ზედიზედ მეორედ გახდა ამ შეჯიბრების ჩემპიონი. ქალთა შორის პირველობა დიდი უპირატესობით ჰოლანდიელმა კარლაბორსკენსმა მოიგო — 2:35.11.

სტოკჰოლმი. გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის" ტრადიციული პრიზი მიმდინარე სეზონში ნაჩვენები საუკეთესო შედეგებისთვის მიენიჭათ შვეციის ჰოკეისტთა ნაკრებსა და მოთხილამურე მარი-ჰელენ ვესტინს მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებისთვის.

### წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## სკოლის მადლი

იგი პირველ რიგში კარგი მოქალაქე და პატრიოტი, უყვარს საქმე და კონტაქტების გასაოცარი უნარი აქვს. გურამ პაპიტაშვილმა ჭიდაობაში საკუთარი სკოლა შექმნა. ამ სკოლაზე ხშირად ლეგენდებს ჰყვებიან, თუმცა მასში არაფერია განსაკუთრებული. ძიუდოსა და სამბოს აღიარებულ სპეციალისტს ახალგაზრდებთან მუშაობის ორიგინალური მეთოდი აქვს, რომელსაც ერთი სიტყვით ვერც გამოხატავ. ეს არის და ეს. ვისაც მის სკოლაში უნდა ყოფნა საერთო საქმისთვის მსხვერპლის გაღებაც უნდა იცოდეს. ეს სხვათა შორის, სკოლის უმთავრესი პრინციპიდან გამომდინარეობს; ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის.

გურამ პაპიტაშვილის სკოლაში ჭიდაობის სიბრძნეს სამი სპორტის დამსახურებული ოსტატი ეზიარა — ანზორ ქიბროწაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი და თემურ ხუბულური. ეს გვარები მკითხველს სხვაგვარად შეიძლება წარვუდგინოთ: ანზორ ქიბროწაშვილი ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ძიუდოისტია, რომელმაც ევროპის ჩემპიონის სახელი მოიპოვა; შოთა ჩოჩიშვილი — პირველი საბჭოთა ძიუდოისტი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა; თემურ ხუბულური — ასევე პირველი საბჭოთა ძიუდოისტია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის ორი ოქროს მედალი მიენიჭა.

სამი სპორტის დამსახურებული ოსტატის აღზრდა გურამ პაპიტაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის თავისებური მწვერვალია, თორემ მის სკოლაში დავაჟკაცებულ ფალავანთა სია უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ: ცამეტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, რომელთაგან განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ: ბუღდან ბალაკაშვილი და ღურმიშხან ბერუ-

იხ. მე-4 გვ.



გურამ პაპიტაშვილი (ცენტრში) და მისი აღზრდილები ჯემალ მჭედლიშვილი (მარცხნივ) და შოთა ჩოჩიშვილი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## გეპატიჟებათ პოპულარული ტურნირი

ჩვენი ქალაქის ქუჩებში ლამაზი აფიშები გამოჩნდა: მოკრივის ხელთათმანზე შესკუპებული ბელურა ჭაბუკ მოკრივეთა ტურნირზე გვეპატიჟება.

დიახ, დღეიდან 19 დეკემბრის საღამომდე კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე ჭაბუკ მოკრივეებსა და ამ სახეობის თბილისელ მოყვარულებს დაეთმობათ. აქ გაიმართება იუნიორ მოკრივეთა VI საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზებზე.

ეს შეჯიბრება უკვე ტრადიციული გახდა და სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს. ბულგარელ, უნგრელ, პოლონელ, რუმინელ, კუბელ და ფინელ მოკრივეებს ადრეც უასპარეზიათ თბილისის რინგზე და ამჯერადაც სიამოვნებით მიიღეს ორგანიზატორთა მოწვევა. ჩეხოსლოვაკიელები პირველად მიიღებენ მონაწილეობას ამ ტურნირში. მათთან ერთად, ცხადია, საპატიო პრიზებისათვის იბრძოლებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები.



გაგაცნობთ შეჯიბრების პროგრამას:

**16 დეკემბერი.** 12.00 — წინასწარი ორთაბრძოლები.

17.00 — ტურნირის საზეიმო გახსნა და მეოთხედფინალური ბრძოლები.

**17 დეკემბერი.** 12.00 და 18.00 — მეოთხედფინალი.

**18 დეკემბერი.** 12.00 და 18.00 — ნახევარფინალი.

**19 დეკემბერი.** 12.00 — ფინალური ბრძოლები და ტურნირის დახურვა.

სიახლეს — მხარდაჭერა

# გამომთვლელი მანქანა და ჭადრაკი

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში, ქალთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატის დღეებში სატურნირო ცხრილის გვერდით გამოჩნდა ელექტრო-გამომთვლელი მანქანის (ეგმი-ს) მიერ დამუშავებული და დაბეჭდილი ცხრილები. თუ ამ ცხრილებს კვალიფიციური თვალით შევხედავთ, მასში ბევრ საინტერესოს და უაღრესად საჭირო მომენტს შევნიშნავთ. ყოველივე ეს შედეგია ეგმ-ზე შექმნილი სისტემისა, რომელიც გვეხმარება „მოჭადრაკეთა ანკეტური მონაცემების, რეიტინგ-სიებისა და სატურნირო ცხრილების ავტომატურ დამუშავებაში, რეიტინგების გამოანგარიშებით“ მისი ავტორი გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი ინჟინერ-პროგრამისტი, ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატი ვარლამ ვეფხვიშვილი. მან ეს სისტემა დაამუშავა და გამართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში (დირექტორი — პროფესორი დავით გორდეზიანი) პროფესორ გურამ ჭილაშვილის ხელმძღვანელობით. ეს სისტემა სრულიად ახალია მთელს საბჭოთა კავშირში.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მოჭადრაკეების (1300-მდე) ინდივიდუალური კოეფიციენტის — რეიტინგების გამოთვლა-გამოანგარიშება სატურნირო ცხრილების მიხედვით, დღესდღეობით ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ სრულდება პრიმიტიულად, ხელით. აღნიშნული ავტომატიზებული სისტემა კი თვითონ ასრულებს ყველაფერს: გამოაქვს ეკრანზე (დისპლეიზე) და ბეჭდავს რეიტინგ-სიას, ანბანის, დაბადების თარიღისა და რეიტინგების მიხედვით, გამოაქვს დიდოსტატების, საერთაშორისო და სპორტის ოსტატების, აგრეთვე ოსტატობის კანდიდატების დაჯგუფებაში მოქცევით, ან ცალ-ცალკე, ავტომატურად თარგმნის ამ სიებს რუსულიდან ინგლისურ ენაზე. მოჭადრაკეთა რეიტინგებთან ერთად იბეჭდება მათი ბევრი ანკეტური მონაცემიც. რაც შეეხება სატურნირო ცხრილებს, მათი შედგენა შეიძლება როგორც კენჭისყრით კუთვნილი ნომრების, ისე მოჭადრაკეთა სატურნირო მდგომარეობის მიხედვით. სისტემა ცნობს თითოეული მოჭადრაკის მიერ მოგებული, წაგებული, ყაიმით დამთავრებული პარტიების რაოდენობის შესახებ. ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, სისტემა ტურნირის დებულების ყველა დამატებით პუნქტს (ბერგერის კოეფიციენტი, ურთიერთშორის შეხვედრათა შედეგები, მეტი მოგებული პარტიის გამოთვლა) ითვალისწინებს, გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ სად მოიპოვა შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება. თუ რომელიმე მონაწილე ტურნირს გამოეთიშება, მისი შედეგები ავტომატურად გაუქმდება. სისტემა ადგენს აგრეთვე საკლასიფიკაციო ცხრილს, სადაც ეგმ-ი გვაცნობს თავის „აზრს“ იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა ესა თუ ის ტურნირი რეიტინგების დათვლას, სპორტის ოსტატის ნორმის დაწესებას, ადგენს ნორმატივებს თითოეული მონაწილისთვის და ანიჭებს ამ წოდებას მას, ვინც ქულათა საჭირო რაოდენობას მოაგროვებს. ამ ცხრილში გათვალისწინებულია ყველა ნათამაშევი პარტიის შედეგი (პლუს-მინუსების გარეშე, აგრეთვე ტურნირიდან გამოთიშული მონაწილის შედეგები, რომელიც წინამდებარე ცხრილში უქმდებოდა) და ბოლოს ეგმ-ი ყოველი ტურის შემდეგ ითვლის რეიტინგებს და გვაუწყებს, ვის რამდენი პუნქტი მოემატა, ან მოაკლდა.

ეგმ-ს შემქმნელს მხარში უდგანან ეგმ ეს-1033-ის ინჟინრები ალეკო ქათამაძე, ჯემალ გაბრაშვილი და ნანული მელაძე. ისინი აგერ უკვე თხუთმეტ წელზე მეტია დროსა და ენერგიას არ იშურებენ, ამ გამოგონების მოჭადრაკეთა სამსახურში ჩასადგომად.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ სიახლეს ბევრი ეჭვის თვალით უყურებს, კერძოდ, ისინი, ვინც წესით, ხელს უნდა უწყობდეს გამოგონების ავტორსა და მის თანამშრომლებს. პროგრამების მართვასა და მუშაობას სჭირდება მანქანური დრო, მაგნიტური დისკი (გარე შემნახველი მეხსიერება) და ეგმი-ს საბეჭდი ქაღალდი, რომელთა შეძენა ჭირს. ერთი სიტყვით, ეგმ-ს ავტორს ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი და თუ მას ამთავითვე არ ამოვუდექით მხარში, შესაძლოა ამ კარგად დაწყებულ საქმეს თავი ვერ დაედგას.

**ვ. ვარლამიშვილი.**

ფიზკულტურულ კოლექტივებში

# იქნებ მეთოდები მოძველდა?

**ფიზკულტურა და სპორტი ძალიან პოპულარულია ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის შრომით კოლექტივში. მაგრამ...**

ფიზკულტურული კოლექტივი ამ ფაბრიკაში მისი დაარსების დღეებიდანვე შეიქმნა. ახლა ფაბრიკის მშრომელთა განკარგულებაშია ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის სპორტული მოედნები და საჭიდაო დარბაზი. ხშირად ტარდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები. ფაბრიკის ფიზკულტურულ კოლექტივს რაიონის ჩემპიონატში მინიფეხბურთში მოპოვებული აქვს რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით“ გარდამავალი თასი. ფაბრიკის რამდენიმე მშრომელი საქართველოს პირველობის პრიზიორია სამბოში, ფეხბურთელთა გუნდი კი რაიონის ჩემპიონია და რესპუბლიკის ზონალურ პირველობებშიც მონაწილეობს.

წლების განმავლობაში მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის ფიზკულტურულ კოლექტივს სათავეში ედგნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შემდგომი საქმიანობა მთლიანად სპორტს, რაიონში მისი პოპულარიზაციის საქმეს დაუკავშირეს. ესენი არიან ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი ანზორ მაღრაძე და პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარე ზაალ მესხი. ნაყოფიერად მუშაობს ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივის ამჟამინდელი მეთოდისტი, ყოფილი სამბისტი, სპორტის ოსტატი შალვა მაღრაძე. ფიზკულტურულ კოლექტივს მხარში უდგას მარელისის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნაზი გოგორიშვილი, რომელიც დღენიადაგ მუშა-სპორტსმენთა ჯანმრთელობისათვის ზრუნავს, საჭირო რჩევა-დარიგებებს აძლევს მათ.

ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივის მთავარ ძალას კომკავშირული ახალგაზრდობა შეადგენს, აი, საშუალო ასაკის მშრომელები, განსაკუთრებით ქალები კი რატომღაც თავს არიდებენ სპორტთან მეგობრობას. ალბათ დადგა დრო გამოინახოს მათი დაინტერესების ახალი ფორმები. როგორც ჩანს, ფიზკულტურული მუშაკების მუშაობის ძველი სტილი აღარ ამართლებს.

ფაბრიკას სპორტდარბაზი არ აქვს. სწორედ ამის გამო, ზამთრობით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა აქ ფაქტიურად ჩაშლილია. ასეთ ვითარებაში მშრომელები მხოლოდ შაშისა და ჭადრაკის თამაშით კმაყოფილდებიან... ამ საკითხზეც უნდა დავფიქრდეთ. საერთოდ მუშაობა სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას მოითხოვს.

**გოჩა ხარატიშვილი,**
**„ლელოს“ ხაკ. კორესპონდენტი.**

**ორჯონიკიძის რაიონი.**
მარელისი.

# უშბა და შალვა მარგიანი

**მწვერვალამდე** ბევრი არაფერი რჩებოდა. უკან დარჩა უშბის 600-მეტრიანი შვეული კედელი, რომელიც ალაგ-ალაგ უარყოფითი დახრილობისა იყო. უკან დარჩა გრანიტის კედლის ბურღვა და შიგ კლდის პალოს ჩასობა, გადასატანი ბაქნებისა და თოკის კიბეების გაუთავებელი გადაადგილება, კლდეზე დაკიდებულ ჰამაკებში, თუ ერთი ციდა ქიმზე მჯდომარე „ძილი“, ყინვაში თეთრად გატეხილი ღამეები და ათასი გაჭირვება.

ზემოთ მწვერვალის თხემის თოვლიანი ფერდობი და მასზე დამხობილი უძირო, ლილისფერი ცის გუმბათი იყო. მანამდე კედლის ექვსმეტრიანი მონაკვეთიღა რჩებოდა დასაძლევი. ნუგზარს და ლადოს კედელი აეთავებინათ და თოვლზე იდგნენ. შალვას მათგან ის ექვსმეტრიანი მონაკვეთიღა აშორებდა.

ქვემოთ გივი, ზაქრო და ვალერი იყვნენ, უფრო ქვემოთ ღრუბლები გაწოლილიყვნენ.

შალვა ვერც კედლის თავზე, თოვლიან ფერდობზე მდგომთ ხედავდა და ვერც ქვემოთ, კლდეს აკრულ მეგობრებს, მაგრამ მწვერვალი ყველასთვის ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე იყო და კლდის ქიმზე მდგომი შალვა, სადღაც გულის სიღრმეში, უკვე გამარჯვებას ზეიმობდა. სწორედ ამ დროს სამთო ფეხსაცმელზე ზონარი შეეხსნა. ზონრის განასკვა იოლი არ ჩანდა, მაგრამ უფრო სახიფათო იყო მის შეუკრავად კლდეზე აცოცება. საფიქრალი და ასაწონ-დასაწონი არაფერი იყო, კლდის ქიმზე, სახით კედლისკენ მდგომს, ზონარი უნდა შეეკრა.

შალვამ ხელის აწვდენის სიმაღლეზე, ძირითად თოკზე გამობმული დამხმარე თოკი წელამდე ჩამოაცურა. მერე დაიხარა და ძირითადი თოკი კბილებით დაიჭირა. იცოდა, რომ გადმოვარდნილიყო, თოკზე ცირკის აკრობატივით კბილებით ვერ ჩამოეკიდებოდა, მაგრამ წონასწორობის შენარჩუნების იმედი კი ჰქონდა.

ზონარი სწრაფად შეიკრა. ის იყო, ძირითად თოკზე ხელი უნდა მოეკიდა და წელშიც გამართულიყო, რომ მოულოდნელად წონასწორობა დაკარგა, კლდის ქიმზე ფეხი დაუცდა და უკან, უფსკრულისკენ გადავარდა.

• • •

ზამთარი იყო. მესტიაში თოვლს დაეფარა არემარე. კოშკების ქონგურებს თოვლი თეთრი სვანური ქუდებივით ჩამოფხატვოდა. ისედაც მარადთოვლიანი ბანგურიანი და სხვა მწვერვალები პატარძლებივით თეთრად შემოსილიყვნენ.

ნუგზარს, ზაქროს, ვალერისა და ლადოს გაეგოთ, შალვა ქუთაისიდან მესტიაში, მამაპაპისეულ სახლში ამოსულაო და შინ ესტუმრნენ. ერთმანეთი რომ მოიკითხეს, ბიჭებმა შალვას თავიანთი გულისნადები გაანდეს. უთხრეს, ვიცით, „უშბის სარკის“ გვერდზე ერთი მარშრუტი გვეგულება და მრავალი წელია ოცნებობ იმ გზით ასვლაზე, ახლა საკავშირო ჩემპიონატისთვის განაცხადების წარდგენის დრო ახლოვდება. მოდი, გვისთან ერთად გაგვიძეხი მწვერვალისკენო.

შალვა მარგიანი ამ მარშრუტის გავლაზე მართლაც 1964 წლიდან ოცნებობდა. იმ წელიწადს მან, გივი წერედიანმა, ჯოკია გუგავამ, ჯუმბერ კახიანმა და მიხეილ ხერგიანმა „კლდის ვეფხვად“ წოდებული დიდი მიხეილ ხერგიანის მეთაურობით „უშბის სარკე“ დაძლიეს და საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვეს. ეს მართლაც „ოქროს ასვლა“ იყო, რომლის მსგავსი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვდა. მწვერვალის ყველაზე რთული ნაწილი 600 მეტრს აჭარბებდა, აქედან 200-მეტრიანი მონაკვეთი უკუდაქანებისა იყო. ასეთ ადგილებში დაქანება ზოგან 125 გრადუსს აღწევდა.

გრანიტის კედელი მთლად გლუვი იყო. ის 600 მეტრზე მეტი სიგრძის მონაკვეთი კი ალესილი გეგონებოდათ, სარკესავით ლაპლაპებდა. აკი ამიტომაც უწოდეს „უშბის სარკე“. ასეთ დახასიათებასა თუ ქათინაურს უშბა ამართლებდა კიდეც. მანამდე ამ მარშრუტის გავლა არავის უცდია. ეგ კი არა, „უშბის სარკეზე“ ფიქრსაც ვერ ბედავდნენ. ქართველმა მთამსვლელებმა კი ოცნებაც გაბედეს, მწვერვალზე იერიშიც და მიზანსაც მიაღწიეს.

ეს ერთიორად დიდი გამარჯვება იყო.

„ეს იყო პირველი ოქროს მედლები, რომლებიც ქართველებმა ასვლების ტექნიკურ კლასში მოიპოვეს“; „ქართველმა მთამსვლელებმა ალპინიზმის განვითარებაში ახალი სიტყვა თქვეს“, „ეს იყო პირველი ოქროს მედლები, რომლებიც საქართველოს ალპინისტებმა თავიანთ მშობლიურ მთებში მოიპოვეს“, — წერდნენ გაზეთები და ამბობდნენ სპეციალისტები.

იმ წელიწადს შალვა მარგიანმა საკავშირო პირველობაზე კიდევ ერთი ჯილდო დაიმსახურა — მეკლდეურთა ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა და დაამტკიცა, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში ურთულესი კლდოვანი მონაკვეთების დაძლევის ოსტატი იყო.

მაშინ, 1964 წელს, უბშაზე რომ ადიოდნენ, დიდმა მიხეილ ხერგიანმა და შალვა მარგიანმა „სარკის“ მარჯვნივ სხვა მარშრუტი შენიშნეს. ასვლის მერე ახალ მწვერვალებზე რომ დაიწყეს ფიქრი, ოცნებაში თანდათან ისევ უშბა ამოტივტივდა და „სარკის“ მარჯვნივ გამავალ მარშრუტს დაადგეს თვალი.

შემდეგ წელიწადს შალვამ და დიდმა მიხეილმა ჩემპიონატში გამოსვლა ვერ შეძლეს. ამიტომ უმცროსმა მიხეილმა, გივი წერედიანმა, ჯუმბერ კახიანმა და ჯოკია გუგავამ უშბაზე ასვლა სამომავლოდ გადადეს და ვლადიმერ გაბელაშვილთან ერთად კავკასიონზე ურთულესი ტრავერსი განახორციელეს აილამადან მისისთაუმდე.

ამ ტრავერსმა გუნდს საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლები მოუტანა. ერთი წლის მერე „კლდის ვეფხვი“ იტალიაში, სუალტოს პიკზე ასვლისას დაიღუპა. მალე უმცროსი მიხეილ ხერგიანიც გარდაიცვალა და შალვას აღარ ეგულებოდა კლდეზე დაოსტატებული ისეთი მთამსვლელები, რომლებისგანაც სრულფასოვანი ჯგუფი დაკომპლექტდებოდა, ვისთან ერთადაც თოკში ჩაბმას ისურვებდა და უშბის ბასტიონს შეჰბედავდა. გავიდა ხანი, სვანეთში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მთამსვლელები: ლადო გურჩიანი, ნუგზარ ნიგურიანი, ზაქრო მუშკუდიანი, ვალერი რატიანი და სხვები. მათს დაოსტატებაში თავად შალვას უდიდესი დამსახურება მიუძღოდა. ნუგზარმა, ზაქრომ და ვალერიმ 1973 წელს, საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავზე, შალვა მარგიანი ძალზე გაახარეს, როცა საკავშირო ჩემპიონატში გიორგი გუ-



გავასთან და გივი წერედიანთან ერთად შავი უცნობიდან თეთნულდამდე ჩატარებული ტრავერსით ვერცხლის მედლები დაიმსახურეს, მათი გამარჯვება შალვას იმიტომაც უხაროდა, რომ ეს იყო პირველი ჯილდო (შოთა მირიანაშვილის ჯგუფთან ერთად), რომელიც ქართველმა მთამსვლელებმა ხანგრძლივი წარუმატებლობის შემდეგ მოიპოვეს. უფრო ადრე ლადო გურჩიანმა და ირაკლი გელდიაშვილმა მეკლდეურთა საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლები მიიღეს.

თავის ოსტატობას ირაკლიც შალვას უმადლოდა.

ასე თანდათან დაფრთიანდნენ შალვას შეგირდები და ნაშეგირდლები, მაგრამ თავად მარგიანს წლები მოემატა და ოცნება — უშბაზე ახალი გზით ასვლა — ისევ ოცნებად რჩებოდა.

იმ ზამთარს, შალვას ახალგაზრდა მთამსვლელები რომ ესტუმრნენ და თავიანთი გულისნადები გაანდეს, გამოცდილმა ალპინისტმა გაოცება ვერ დამალა და ღიმილით უთხრა, აბა, ჩემისთანა ბებერი რად გინდათ. ტვირთად დაგაწვებით და ხელს შეგიშლითო.

ბიჭებმა ღიმილით შეახსენეს, ხომ გაგვიგონია, ბებერი ხარის რქებიც ხნავენო. ისიც უთხრეს, გვიც თანახმაა, რომ უშბას შევუტიოთ, თქვენი გამოცდილება და ჩვენი ახალგაზრდული ძალა იმ კლდეზე აგვიყვანსო.

შალვამ ერთი კი გაიფიქრა, ნეტა ეს ჩემსავით ბებერი წერედიანი რალამ გადარიაო. მერე ერთხანს ჩაფიქრდა. ოცნებით ამ ახალგაზრდა ბიჭებთან და ძველ თანაგუნდელთან ერთად ისევ „უშბის კედელს“ შეუყვა. შეუყვა და თითქოს ისევ ჭაბუკური ენერგია იგრძნო, თავი მწვერვალზეც წარმოიდგინა, გაიღიმა და ბიჭებს დასტურის ნიშნად ხელი მაგრად ჩამოართვა. გახარებული სტუმრები შალვას გადაეხვივნენ.

იმ ღამეს შალვას თვალს რული არ მიჰკარებია.

• • •

ძილგატეხილ შალვას ერთი ჭაბუკიც გაახსენდა. იმ ჭაბუკს მესტიასა და ყაბარდო-ბალყარეთში, ადილ-სუს ხეობაში კარგი მოჭიდავის სახელი ჰქონდა დაგდებული. თანატოლებში მისი წამქცევი რომ აღარ გამოჩნდა, უფროსებთანაც მოსინჯა მკლავისა და მუხლის ძალა. მხარბეჭითა და ზორბა ტანით სულაც არ გამოირჩეოდა, მაგრამ ის უფროსებიც ბევრჯერ დასცა გულაღმა. ყველა გაოცებული იყო მისი კისრულითა თუ შუაკაურით, სარმითა თუ მოგვერდით. ეს ყველაფერი ბუნებით უხვად ჰქონდა მომადლებული, მაგრამ არც მესტიაში და არც ადილსუს ხეობაში ჭიდაობის სერიოზული სკოლა ან სექცია არ არსებობდა. ერთგანაც და მეორეგანაც კავკასიონის ცადატყორცნილი მწვერვალები იყო. იქაც და აქაც ყველაზე მეტად ალპინიზმი იყო განვითარებული. მთამსვლელებსაც მრავლად იცნობდა. ადილ-სუს ხეობაში ალპურ ბანაკ „ხიმიკისა“ და „მეტალურგის“ მთამსვლელები მამამისის სახლს საწყობად იყენებდნენ, მაგრამ ალპინიზმით დაინტერესებას არაფრით ავლენდა.

ის ჭაბუკი თუ კარგი ჭიდაობით გამოირჩეოდა, მამამისი, მაბილა, მესტიაშიც და ყაბარდო-ბალყარეთშიც სახელგანთქმული მონადირე იყო. ჭაბუკი ხშირად სვანეთიდან, მამა-პაპისეული სახლიდან ყაბარდო-ბალყარეთში, მესტიისა თუ დონღუზორუნის ზეკარით ფეხით გადადიოდ-გადმოდიოდა. მთაში ამდენი სიარულით მამასავით მგლის მუხლი გამოიბა.

ერთ დღეს, უმცროს ძმასთან ერთად მესტიიდან ყაბარდო-ბალყარეთში მიმავალ ბილიკს რომ მიუყვებოდა, ზეკარზე ჩამომავალი ჯგუფი დაინახა. ახალბედა მთამსვლელები ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მესტია თაუზე ადიოდნენ. იმ დროისთვის უკვე 23 წლის ახა-

იხ. მე-4 გვ.

# XIV მსოფლიო ჩემპიონატის გზებზე

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 12 დეკემბერს თავის შტაბბინაზე შვეიცარიის ქალაქ ციურიხში მოაწყო 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა. შეჯიბრება, როგორც ცნობილია, გაიმართება იტალიაში.

მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობას მიიღებს 24 გუნდი. მათგან ორი, ჩემპიონატის მასპინძელი იტალია და 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი არგენტინა, არსებული წესის შესაბამისად, განთავისუფლებული არიან წინასწარი თამაშებიდან.

ფინალის დანარჩენი 22 ადგილი განაწილდა საკონტინენტო ზონების მიხედვით. წილისყრის შედეგები ევროპის ქვეყნებისთვის გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, ახლა გთავაზობთ წილისყრის მთლიან შედეგებს.

### ევროპა. 13 ადგილი

**პირველი ჯგუფი**

დანია, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი.

**მეორე ჯგუფი**

ინგლისი, პოლონეთი, შვეცია, ალბანეთი.

**მესამე ჯგუფი**

სსრ კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ავსტრია, ისლანდია, თურქეთი.

**მეოთხე ჯგუფი**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლანდია, უელსი, ფინეთი.

**მეხუთე ჯგუფი**

საფრანგეთი, შოტლანდია, იუგოსლავია, ნორვეგია, კიპროსი.

**მეექვსე ჯგუფი**

ესპანეთი, უნგრეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ირლანდია, მალტა.

**მეშვიდე ჯგუფი**

ბელგია, პორტუგალია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, ლუქსემბურგი.

მესამე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ჯგუფებში, სადაც 5-5 გუნდი გამოდის, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებენ პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები, ხოლო პირველ, მეორე და მეოთხე ჯგუფებში — მხოლოდ გამარჯვებულები. კიდევ 2 ადგილი განეკუთვნება გუნდებს, რომლებსაც უკეთესი შედეგები აღმოაჩნდებათ მათ შორის, რომლებიც მეორე ადგილებს დაიკავებენ პირველ, მეორე და მეოთხე ჯგუფებში. უკეთესი მაჩვენებლების განსაზღვრა ასე ხდება: უპირველესად მხედველობაში ღებულობენ დაგროვილ ქულათა რაოდენობას, მათი თანაფარდობის შემთხვევაში — გატანილი და მიღებული ბურთების უკეთეს სხვაობას, შემდეგ კი — გატანილი ბურთების მეტ რაოდენობას.

თუ ყველა ეს მაჩვენებელი ერთნაირი იქნა, პრეტენდენტებს შორის შედგება მატჩი ნეიტრალურ მინდორზე.

### სამხრეთ ამერიკა 2 ან 3 ადგილი

**პირველი ჯგუფი**

ურუგვაი, პერუ, ბოლივია.

**მეორე ჯგუფი**

პარაგვაი, კოლუმბია, ეკვადორი.

**მესამე ჯგუფი**

ბრაზილია, ჩილი, ვენესუელა.

პირველი და მესამე ჯგუფების გამარჯვებული გუნდები უშუალოდ გადიან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. მეორე ჯგუფის გამარჯვებული ფინალის საგზურის მოსაპოვებლად 2 მატჩში უნდა შეხვდეს ოკეანიის ზონის საუკეთესო გუნდს (ამ ზონაში შეყვანილია ისრაელის ნაკრებიც).

### ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ზონის (კონკაკაფი) ქვეყნები 2 ადგილი

**პირველი ჯგუფი**

ანტიგუა და ბარბუდა — ანტილის კუნძულები. წყვილში გამარჯვებული შეხვდება სალვადორის გუნდს.

იამაიკა — პუერტო-რიკო. გამარჯვებული შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს.

ტრინიდადი და ტობაგო — გაიანა. გამარჯვებული შეხვდება ჰონდურასის გუნდს.

**მეორე ჯგუფი**

კოსტა-რიკა — პანამა. გამარჯვებული შეხვდება მექსიკის გუნდს.

გვატემალა—კუბა. გამარჯვებული შეხვდება კანადის გუნდს.

დასკვნით ეტაპზე პირველი ჯგუფის 3 საუკეთესო გუნდი და მეორე ჯგუფის 2 საუკეთესო გუნდი (სულ ხუთი) ერთმანეთს შორის ორწრიან ტურნირში გაითამაშებენ 2 საგზურს.

### აფრიკა. 2 ადგილი

პირველ წრეში თამაშებიდან თავისუფალი არიან ალჟირი, კამერუნი, ეგვიპტე, მაროკო, კოტ დივუარი, კენია, ნიგერია, ზაირი.

**პირველი ჯგუფი**

ანგოლა-სუდანი, ლესოტო-ზიმბაბვე, რუანდა-ზამბია, უგანდა-მალავი.

**მეორე ჯგუფი**

ლიბია — ბურკინა ფასო, განა — ლიბერია, ტუნისი—გვინეა, ტოგო—გაბონი.

შემდგომში აქ ჩატარდება კიდევ ორი ტური რთული მრავალსაფეხუროვანი სისტემით.

### აზია. 2 ადგილი

**დასავლეთ აზიის ზონა**

**პირველი ჯგუფი**

ერაყი, კატარი, იორდანია, ომანი.

**მეორე ჯგუფი**

საუდის არაბეთი, სირია, ბახრეინი, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

**მესამე ჯგუფი**

კუვეიტი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, პაკისტანი, არაბეთის იემენის რესპუბლიკა.

**აღმოსავლეთ აზიის ზონა**

**მეოთხე ჯგუფი**

სამხრეთ კორეა, სინგაპური, მალაიზია, ინდოეთი.

**მეხუთე ჯგუფი**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ირანი, ტაილანდი, ბანგლადეში, ნეპალი.

**მეექვსე ჯგუფი**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, იაპონია, ინდონეზია, ჰონკონგი.

ექვსი ჯგუფის გამარჯვებულები მეორე წრეში გამართავენ ფინალურ თამაშებს წრიული სისტემით, სადაც გამოვლინდებიან ფინალის ორი საგზურის მფლობელები.

### ოკეანია. ერთი ადგილი (?)

**პირველი ჯგუფი**

ახალი ზელანდია — ტაივანი.

**მეორე ჯგუფი**

ავსტრალია — ფიჯი.

ჯგუფებში გამარჯვებულები, აგრეთვე, ისრაელის გუნდი შემდგომში ერთმანეთს შეხვდებიან ორწრიან ტურნირში. უძლიერესი გუნდი ამის მერე ფინალის საგზურისთვის შეხვდება სამხრეთ ამერიკის საკონტინენტო ზონის II ჯგუფის გამარჯვებულს.

* * *

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის წილისყრას დიდი ინტერესით მოველოდით, ცხელ კვალზე საერთო პროგნოზების გაკეთება იოლი არაა, განსაკუთრებით აზიის, აფრიკისა და ოკეანიის ქვეყნების გუნდებისთვის, სადაც ძალთა საერთო შეფარდების დადგენა ძნელი საქმეა. ამის შესახებ ახლო მომავალში თავიანთ მოსაზრებას ალბათ გამოთქვამენ სპეციალისტები და მიმომხილველები, მაგრამ ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას: სსრ კავშირის ნაკრებს ურიგო პერსპექტივები არა აქვს. ჯერ ერთი, ევროპის III ჯგუფში ხუთი გუნდია გაერთიანებული და აქ პირველი-მეორე ადგილების დაკავება შეუძლებელ საქმედ არ მიგვაჩნია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ისლანდიის გუნდებს სსრ კავშირის ნაკრები სულ ახლახან წარმატებით ეთამაშა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო გუნდში, საკმარისად შესწავლილი გვყავს ავსტრიისა და თურქეთის გუნდებიც. თურქი ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის IV ჯგუფში ბოლო ადგილზე იმყოფებიან, ხოლო ავსტრიელებმა ევროპის ჩემპიონატის I ჯგუფში ესპანეთის, რუმინეთისა და ალბანეთის გუნდებთან ბრძოლაში ვერ მოიპოვეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

---

## ლახტის წრეში

ზოგჯერ ისეთ რამეს გაიგონებ და გაიგებ კაცი, დაჯერებაც არ გინდა. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ზოგჯერ — სენსაციურიც, მაგრამ სულ სხვაა, როცა ისევ ის დარღვევა მეორდება, რომელზეც ბევრჯერ გამახვილებულა ყურადღება და რომლის წინააღმდეგაც ყველა უნდა ვიბრძოდეთ. პირდაპირ ვიტყვით, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში დაუშვეს ფეხბურთელი, რომელსაც... ხულიგნობისთვის სამუდამოდ ჰქონდა აკრძალული ფეხბურთის თამაში.

# თაღლითური ალიანსი

### ანუ იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ქუთაისისა და ჩხოროწყუს გუნდებში ფეხბურთელი, რომელსაც ხულიგნობისათვის სამუდამო დისკვალიფიკაცია ჰქონდა.

...ზაზა გელაშვილი ქუთაისელია. სასჯელიც ქუთაისის გუნდში თამაშისას მიიღო. მაგრამ საოცარი ის გახლავთ, რომ წელს თავდაპირველად არა სადმე სხვაგან, არამედ სწორედ ქუთაისის „იმერეთში“ დაუშვეს ეს ფეხბურთელი სათამაშოდ. გუნდის მწვრთნელებმა დ. აბაშიძემ და რ. მაღლაფერიძემ, ქალაქის სპორტის მესვეურებმა საოცარი „გულმავიწყობა“ გამოიჩინეს. რას ემყარებოდა მათი ვარაუდი? იმას, რომ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში ახალი თანამშრომლები იყვნენ, რომლებსაც არ ეცოდინებოდათ წარსულის საქმეები. აქვე დავძენთ; სამმართველოში დამკვიდრებული მუშაობის სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი „გაცურება“ სრულიად დასაშვებია. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა არსებობდეს საქართველოს პირველობაზე მონაწილე თითოეულ ფეხბურთელზე ბარათი, სადაც ყველა დარღვევა აღირიცხება? ასეთი დოკუმენტი სამმართველოში არ არის. ანდა, რატომ უნდა იყოს არქივში ერთი უბრალო საკანცელარიო ჟურნალი მაინც, სადაც დასჯილი და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების გვარები იქნება ჩაწერილი? არც ეს არის. რომ იყოს, ცხადია, ასეთი სამარცხვინო ამბავი აღარ მოხდებოდა.

დავუბრუნდეთ ფაქტებს. 1987 წელს (განაცხადში თარიღი არ არის მინიშნებული. როგორც ამბობენ, ეს ამბავი მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მომხდარა) რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში რამდენიმე ფეხბურთელის გუნდში დამატებით ჩარიცხვაზე განაცხადი წარადგინა ქუთაისის „იმერეთის“ ხელმძღვანელობამ. ამ სიაში შედის ზაზა გელაშვილიც. განაცხადს ხელს აწერენ პროფკავშირების ქუთაისის ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თავმჯდომარე (ხელმოწერა გაურკვეველია) და ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ფრუიძე.

ამონაწერი „იმერეთის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსის რ. მაღლაფერიძის ახსნა-განმარტებიდან: „ჩვენს გუნდში ზ. გელაშვილი თამაშობდა 1984 წლიდან. 1986 წლის აპრილში შინ ვეთამაშებოდით ვეგეკორის „სალხინოს“. თამაშის შემდეგ ზ. გელაშვილმა თანაგუნდელ ბ. კაკაბაძესთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. ქუთაისის სპორტკომიტეტმა ორივე ფეხბურთელს სამუდამოდ აუკრძალა ფეხბურთის თამაში. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ. წელს ივლისში ზ. გელაშვილი დაბრუნდა ჯარიდან. ჩვენი გუნდის ახალმა მწვრთნელმა დ. აბაშიძემ არ იცოდა ზ. გელაშვილის წარსული (მე მივლინებაში ვიყავი) და იგი „იმერეთის“ დამატებით განაცხადში შეიტანა. ეს მოხდა წელს, აგვისტოში. ამის შემდეგ გელაშვილმა ერთი თამაში ჩაატარა ხობში, ხოლო როგორც კი ჩემთვის ცნობილი გახდა ეს ფაქტი, ზ. გელაშვილი მაშინვე გავუშვით გუნდიდან“.

ხედავთ, თურმე როგორ ყოფილა საქმე? დავუშვათ, ყველაფერი მართლაც ასე იყო, ვითომ ქალაქის კომიტეტშიც არ ახსოვდათ ეს ფაქტი? სასჯელი ხომ სწორედ კომიტეტმა დაადო ზ. გელაშვილს და მერე იმავე კომიტეტმა მისცა ვიზა დამატებით განაცხადს? გუნდშიც ყველა გულმავიწყი აღმოჩნდა? რალა უნდა დაიჯერონ იმ ფეხბურთელებმა, რომლებმაც კარგად იცოდნენ ზ. გელაშვილის ამბავი და ახლა იგი კვლავ მათს გვერდით აღმოჩნდა?..

ახლა კვალს ჩხოროწყუში გავყვეთ. გარეგნულად ყველაფერი ლოგიკური ჩანს. ზაზა გელაშვილი ჩხოროწყუში ჩავიდა სასწავლებლად. იგი ტექნიკუმში ჩაირიცხა და, რაკი იქ სწავლობდა, ჩხოროწყუს სპორტის მუშაკებმა ადგილობრივ გუნდში მისი ჩარიცხვა მოიწადინეს. მიდგნენ-მოდგნენ და საწადელს, რა თქმა უნდა, მიაღწიეს. მაგრამ ჩხოროწყუში ზ. გელაშვილის ჩასვლა სინამდვილეში სულ სხვაგვარად მოხდა. უპირველესი ამოცანა იყო, რომ იგი ფეხბურთის გუნდში ჩაერიცხათ, ტექნიკუმში კი იმიტომ შეიყვანეს, რომ გუნდში ახალი წევრის მიღების საბაბი ჰქონოდათ. აი, ეს არის სინამდვილე. არაო, იქნებ გვითხრას ვინმემ. აქ კი იძულებული ვართ ფაქტები მოვიშველიოთ. ზაზა გელაშვილი წლეულს აგვისტოს ბოლოს ჩარიცხეს ტექნიკუმში, ჩარიცხეს და... სწავლას მოწადინებულ ამ ახალგაზრდას დღემდე ტექნიკუმში ბევრი არც იცნობს. ან როგორ იცნობენ, როცა პირველი სექტემბრიდან... 212 საათი აქვს გაცდენილი, ორი ნოემბრიდან კი საერთოდ აღარ მისულა სასწავლებელში. რატომ? ვინ მფარველობს, ვინ არღვევს კანონს, ვისი ხელშეწყობით, ან რა საბუთით გათამამდა ასე სხვა რაიონში სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდა? ამ კითხვაზე ალბათ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამმართველომაც უნდა გვიპასუხოს.

თუმცა, დავუბრუნდეთ გ. მაღლაფერიძის მოხსენებით ბარათს და ვნახოთ, რა მოხდა შემდეგ: „11 სექტემბერს ჩხოროწყუში მატჩი გვქონდა ადგილობრივ „სამეგრელოსთან“. როცა დავიწყეთ ოქმის შევსება, მოწინააღმდეგე გუნდის შემადგენლობაში ვნახე გელაშვილის გვარი. ამის შესახებ ვაცნობე „სამეგრელოს“ ხელმძღვანელობას, მაგრამ მაინც ათამაშეს გელაშვილი. ჩვენ კი გვიპასუხეს, კარგი ბიჭები ხართ, ჩივილს და მატჩის გაპროტესტებას არ იკადრებთო. თამაშის შემდეგ ჩვენ დავწერეთ პროტესტი და წარვადგინეთ ფეხბურთის სამმართველოში“.

აი, ასეთია ამ სამარცხვინო ამბის ისტორია. „სამეგრელოს“ ფეხბურთელთა გუნდის მეორე მწვრთნელმა თ. კაციამ (პირველი მწვრთნელი ა. ბაჩუკაშვილია) ასეთი განმარტება მოგვცა გელაშვილის დისკვალიფიკაციის შესახებ: „მე, როგორც მწვრთნელმა, არაფერი ვიცოდი“ (დავძენთ, რომ „ლელოში“ ამ ფაქტის შესახებ დაიწერა 1986 წლის 1 მაისს).

ამბობენ და ამ ფაქტმაც დაადასტურა, რომ საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდების მწვრთნელები თავის მართლებისა და ტყუილის ნამდვილი დიდოსტატები არიან. საოცარია, მაგრამ ფაქტებს ვერსად გავექცევით. როგორც ჩანს, გასდით ასეთი პოლიტიკა, თორემ სხვა რით შეიძლება აიხსნას მათი თავაშვებულობა? ამ საკითხსაც მიხედვა უნდა. ზ. გელაშვილს ყველა კარგად იცნობდა, ყველამ ყველაფერი ჩინებულად იცოდა და მაინც მწვრთნელებმა თაღლითურად გაიტანეს თავისი. ზ. გელაშვილი, რომელსაც ფეხბურთში, როგორც მოთამაშეს, სამუდამო დისკვალიფიკაცია ჰქონდა, ჯერ იმავე გუნდში ჩარიცხეს, საიდანაც ხულიგნობის გამო გაუშვეს, შემდეგ კი მფარველებად სხვა რაიონის, კერძოდ, ჩხოროწყუს სპორტის მესვეურები მოევლინენ. არ ვიცოდითო, აცხადებს გუნდის მწვრთნელი. ნუთუ მართლა არ იცოდნენ, ვის ღებულობდნენ გუნდში? თუ არ იცოდნენ, მით უარესი, მაშინ მართლა საგანგაშო და სულ ხელიდან წასული ყოფილა ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის საქმე.

დღეს ეს ფაქტი იმიტომ გამოგვაქვს საზოგადოებრიობის სამსჯავროზე, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ფეხბურთში უნდა აღიკვეთოს თვითნებობა და განუკითხაობა. ქუთაისის „იმერეთისა“ და ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ გუნდების ხელმძღვანელებმა, ქუთაისისა და ჩხოროწყუს სპორტკომიტეტებისა და პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა მკაცრად უნდა აგონ პასუხი ჩადენილი სიყალბისა და წაყრუებისათვის. ამას მოითხოვს ჩვენი ფეხბურთის, საერთოდ, ჩვენი სპორტის სიწმინდის ინტერესები.

---

## ნაერთი გუნდების მატჩი

ბუდაპეშტში შედგა საინტერესო საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. უნგრეთის კლუბების ნაკრები შეხვდა კიევის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელთაგან შემდგარ ნაერთ გუნდს. საწვრთნელი მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:1.

## საერთაშორისო ტურნირზე

მალაიზიის დედაქალაქში მიმდინარე ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მესამე ტურში დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ მარცხი განიცადა იუგოსლავიის „ველეჟთან“ შეხვედრაში — 1:3.





რომორც იცით, თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს მოზარდ მოჭადრაკეთა პირველობა (საკავშირო პირველობის შესარჩევი ტურნირი). ჩვენი ფოტოკორესპონდენტის ალექსანდრე კოტორაშვილის მიერ გადაღებულ ამ სურათზე შეჯიბრების საერთო ხედია აღბეჭდილი.

# სკოლის მადლი

(დასასრული)

აშვილი, ნოდარ ყაჩმაზაშვილი და ვახტანგ ბორჩაშვლი, სევერიან ქარელი და როინ მალალთაძე, გენადი თანდელოვი და ჯემალ ხორბალაძე... აქ, ამ სკოლაში მიიღო დიდი სპორტის საგზური ასზე მეტმა სპორტის ოსტატმა. გურამ პაპიტაშვილმა აღზარდა ერთი საბჭოთა კავშირის და ათამდე რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.

1964 წლამდე თავადაც რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი იყო. მაშინ საქმით გახლდათ დაკავებული, ახალგაზრდებს ზრდიდა და ტიტულებზე ფიქრისათვის არ ეცალა. მაგრამ ამ რანგის პედაგოგი, გულისხმიერი აღმზრდელი, პატიოსანი და დაუღალავი მშრომელი დიდხანს შეუმჩნეველი რას დარჩებოდა. და მასაც საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სახელი მიანიჭეს, სახელს, ვიმეორებთ, არ ეძებდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, რომ შრომა დაუფასდა.

ერთხელ ანზორ ქიბროწაშვილს ვკითხეთ: რა თვისებებს გამოჰყოფდით თქვენი მწვრთნელის ხასიათშიო? მან მცირედი დაფიქრების შემდეგ ვვიპასუხა: გურამ პაპიტაშვილს ადამიანებთან ურთიერთობის გასაოცარი უნარი აქვს. ვერ ვიტყვი იმას, რომ ძალზე რბილი და მომთმენი იყოს, მაგრამ უხეშობა? — ასეთი რამ მას არ ჩვევია, შეხუმრებაც ზომიერი იცის, ნებისმიერ სიტუაციაში გვერდით ამოგიდგება, მაგრამ როცა საჭიროა მოგთხოვს კიდეც და ტყავსაც გაგაძრობს. ერთი სიტყვით ყალთაბანდობას ვერ ჰპატიებს ვერც მწვრთნელსა და ვერც მოწაფეს.

ამ ბოლო დროს გურამ პაპიტაშვილის სკოლა თითქოს გალარიბდა, ჩრდილში მოექცა. აქა-იქ მისი მისამართით მწარე სიტყვაც მოვისმინეთ. იქნებ გურამსაც მიუვიდა იგი, მაგრამ როგორც ტაქტიანმა კაცმა ყურად არ იღო. მან ყველა საყვედურის უარყოფა საქმით იცის და ამიტომ არასოდეს აჩქარდება, ზედმეტს არაფერს იტყვის.

წლეულს გურამის ერთმა აღსაზრდელმა გორის მოჭიდავეთა სკოლა ისევ გაგვახსენა. ეს ჯემალ მჭედლიშვილი გახლდათ, რომელსაც აქამდე ვიცნობდით, როგორც ქართული ჭიდაობის უბადლო ოსტატს, რესპუბლიკის ორგზის ფალავანს, პერსპექტიულ ძიუდოისტს, რომელმაც ახალგაზრდებს შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი ხუთჯერ მოიპოვა.

მიმდინარე სეზონში ამ მოჭიდავის ცხოვრებაში ერთგვარი გარდასახვა მოხდა. არადა სპორტსმენის პროფილის სწორი განსაზღვრაც თავისებური ოსტატობაა. ჯემალ მჭედლიშვილი წლეულს წარმოგვიდგა როგორც სამბისტი, ამ სახეობაში გამართული ყველა ოფიციალურ ტურნირში გამარჯვებული მოჭიდავე. გურამ პაპიტაშვილის სკოლის აღსაზრდელთა სია კიდევ ერთი ღირსეული წევრით შეივსო. მას დაემატა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი სამბოში — ჯემალ მჭედლიშვილი.

# ყველაზე ეგზოტიკური გუნდი

კალგარის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე ეგზოტიკური გუნდი, ალბათ, ვირგინიის კუნძულებს ეყოლება. ეს ტროპიკული ქვეყანა კარიბის ზღვის აუზში მდებარეობს და სულ რაღაც 344 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს (მოსახლეობა — 120 ათასი). მაგრამ მთავარი ეს როდი გახლავთ, ოლიმპიურ თამაშებში უფრო მცირე ქვეყნებიც გამოსულან. მთავარი ჩვენი აზრით ის არის, რომ ვირგინიის კუნძულების სპორტსმენებს სურვილი აქვთ იასპარეზონ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, არა და კუნძულებზე ჰაერის ტემპერატურა პლიუს 30 გრადუსზე დაბლა არ ჩამოდის, ერთი სიტყვით, თოვლი ამ ქვეყანაში არავის უნახავს.

ვირგინიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ კანადაში გააგზავნის 12-კაციან დელეგაციას. აქ ოფიციალურ პირთა გარდა ორი სამთომოთხილამურე, ორი მოციგავე და ორი ბობსლეისტი იქნება. ეს სპორტსმენები წვრთნას უკვე გადიან ავსტრიაში კვალიფიციური მწვრთნელების ზედამხედველობით.

ვირგინიელ ოლიმპიელებს წარმატების რაიმე იმედი, ცხადია, არა აქვთ, მაგრამ პიერ დე კუბერტენის არ იყოს, მათთვის გამარჯვება კი არა, შეჯიბრებაში მონაწილეობაა მთავარი.

# ევროპულ თასებზე



**კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ ტურნირზე მესამე წრის შეხვედრები გაიმართა:**

„მაკაბი" (ისრაელი) — „არის" (საბერძნეთი) 95:91, „ტრეისერი" (იტალია) — „ნაშუა" (ჰოლანდია) 96:92, „სატურნი" (გფრ) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 103:98, „პარტიზანი" (იუგოსლავია) — „ორტეზი" (საფრანგეთი) 94:89.

როგორც ხედავთ მესამე ტურის ყველა მატჩი მასპინძლებმა მოიგეს. სამი წრის შემდეგ ლიდერი არ გამოკვეთილა — ხუთი გუნდი ერთნაირი წარმატებით იბრძვის გამარჯვებისთვის. გაკვირვებას იწვევს მხოლოდ „ბარსელონას" სუსტი თამაში. პოპულარულმა ესპანურმა კლუბმა ჯერ ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „მაკაბი" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „ტრეისერი" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „სატურნი" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „არისი" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „პარტიზანი" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „ნაშუა" | 3 | 1 | 2 | 4 |
| „ორტეზი" | 3 | 1 | 2 | 4 |
| „ბარსელონა" | 3 | 0 | 3 | 3 |

კორაჩის თასის გათამაშების ჯგუფურ ტურნირებში 2-2 შეხვედრა გაიმართა.

პირველ ჯგუფში ლიდერობს ესპანეთის „რეალი". მან ორივე მატჩი მოიგო იტალიის „დიეტორთან" (შინ) — 76:62 და ისრაელის „ელიტცურთან" (სტუმრად) — 80:67. ესპანელებს 4 ქულა აქვთ.

მეორე ჯგუფში ასევე ორი გამარჯვებით იუგოსლავიის „ციბონა" დაწინაურდა: დაამარცხა „მანჩესტერი" (ინგლისი) 112:82 და „რესინგი" (საფრანგეთი) 81:64. ორივე მატჩი იუგოსლავიელებმა შინ ჩაატარეს.

მესამე ჯგუფში ლიდერობს იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა", მან შინ საფრანგეთის „ვილერბანი" დაამარცხა 91:83, სტუმრად კი საბერძნეთის პაოკს აჯობა — 93:88.

მეოთხე ჯგუფში ორი გამარჯვება მხოლოდ იტალიის „არექსონს" აქვს, თანაც ამ გუნდმა ორივე შეხვედრა შინ ჩაატარა. პირველ ტურში ისრაელის „ჰაპოელი" დაამარცხა 94:78, მეორეში — იუგოსლავიის „იუგოპლასტიკა" 93:75.

ორი ტური ჩატარდა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაშიც. პირველ ჯგუფში ორივე შეხვედრა მოიგო საფრანგეთის „ლიმოჟმა", მეორეში კი ესპანეთის „ხუვენტუდმა". ეს ორი გუნდი ჯერჯერობით ლიდერობს გათამაშებას.

# უშბა და შალვა მარგიანი

(დასასრული)

ლგაზრდა კაცმა უმცროსი ძმა იქვე დატოვა, უთხრა, აქ მომიცადე, იმ ჯგუფს დავეწევი და დავბრუნდებიო.

დაეწია და მწვერვალზეც ავიდა.

ის ახალგაზრდა შალვა მარგიანი იყო. მესტია თაუმ სხვა მწვერვალებზე ასვლის საღერღელი აუშალა. მომდევნო წელს, ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ადილ-სუს ხეობაში მთამსვლელთა ბანაკ „ულუთაუში" ალპინისტები კლდეზე ვარჯიშობდნენ. ისინი რომ თოკებით, დაცვის ტექნიკის ყველა საშუალებით, წესითა და რიგით ადიოდნენ კლდეებზე, შალვა შიშველი ხელებით გადიოდა ფონს. იმ წელიწადს მესამეთანრიგოსანი გახდა.

შალვა მარგიანისაგან კარგი მთამსვლელი დადგებაო, ამბობდნენ სპეციალისტები და ინსტრუქტორთა სკოლაში იოსებ კახიანთან გაგზავნეს, იქ ორივემ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

სწავლის პერიოდში ერთი რუსი მთამსვლელი მწვერვალ ჯანტუგანის მისადგომებთან ნაპრალში ჩავარდა. დასახმარებლად ყველაზე ადრე შალვა და იოსები ავიდნენ. ყოველივე ამის მერე ბანაკის უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა პოგრებეცკიმ ორივეს მადლობა გადაუხადა და სწავლისთვის განკუთვნილი ფული, 400 მანეთი, აღარ გადაახდევინა.

შალვამ რომ ინსტრუქტორთა სკოლა დაამთავრა, მისი ერთ-ერთი პირველი სტაჟიორთაგანი სიყრმის მეგობარი — მიხეილ ხერგიანი იყო. ასე გადაინასკვა ამ ორი დიდი მთამსვლელის გზები. 1952 წელს შალვა და მიხეილი მეკლდეურობაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ. მერე, წლები რომ გავიდა, მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი ისე დაოსტატდნენ, რომ ინგლისელებმა ორივეს „კლდის ვეფხვები" შეარქვეს. ამ ტიტულს შალვაც დაიმსახურებდა, მისთვის ბედს რომ არ დაეცინა. მრავალ მწვერვალზე ამსვლელმა და კლდე-ღრეში უხიფათოდ მოსიარულემ ბარად მოიტეხა ფეხი და ალპინიზმს მთელი ოთხი წლით ჩამოშორდა. როცა მთას დაუბრუნდა, მიხეილიც და იოსებიც უკვე სახელმოხვეჭილი ალპინისტები იყვნენ. ახლა ისინი აღმოჩნდნენ შალვას დამრიგებლები. შალვა ოსტატობაში მალე დაეწია თავის მეგობრებს და 1958 წელს თუთუბაშის ცენტრალურ მწვერვალზე ორივე ხერგიანთან, იოსებ კახიანთან, შამილ ტენიშევთან და ივან პოლევოისთან ერთად ავიდა. ამ ასვლით მთამსვლელებმა საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს, მაგრამ გამოხდა ხანი და შალვას მყესი გაუწყდა. კვლავ საავადმყოფოში მოათავსეს. მთელი სეზონი მთაში აღარ უვლია. კიდევ ერთი წელიწადს სპორტული ფორმის აღდგენას მოუნდა. მერე კი იყო „უშბის სარკე" და ოქროს მედლები.



მალე ქვემო სვანეთში, სოფელ ყორულდაში, მწვერვალ აილამას ძირას, მთამსვლელთა ბანაკი „აილამა" გაიხსნა. შალვა უმალ იქ გაჩნდა, ახალგაზრდებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა. მას შემდეგ შალვა მარგიანის ქურაში ჩვენი ქვეყნის ბევრი ჩემპიონი და ტიტულიანი სპორტსმენი გამოიწრთო.

...შალვამ მოულოდნელად წონასწორობა დაკარგა, კლდის ქიმზე ფეხი დაუცდა და უკან, უფსკრულისაკენ გადავარდა. მარჯვენა ხელით ინსტინქტურად თოკს ჩაავრინდა და კბილებიც უფრო მაგრად მოუჭირა. სიმწრისაგან თვალთ დაუბნელდა და გრძნობა დაკარგა.

ადამიანის დაღუპვას ერთი სულის შებერვა უნდაო, ნათქვამია, მაგრამ ზედა დაცვამ გაამართლა. მრავალნაცადი მთამსვლელი, ფეხქვეშ საყრდენგამოცლილი, უფსკრულის თავზე ეკიდა. მარჯვენა მკლავი ჯოჯოხეთურად სტკიოდა, ხელი აღარ ემორჩილებოდა. პირიც სისხლით ავსებოდა. ასე თოკზე დაკიდებული დიდხანს გაჩერება მთლად საიმედო არ იყო და ცალი ხელით, რის ვაივაგლახით, ისევ იმ ქიმზე აბობღდა. პირზე ხელი მოისვა და ელდა ეცა — კბილები მთლად მორყეოდა და ერთიანად წინ წამოსვლოდა. ხელის თითებით კბილებს მიაწვა და წაქცეულ ღობესავით გაასწორა, მარჯვენა მკლავი კი ისევ დამბლადაცემულივით ეკიდა. მერე, სული რომ მოითქვა, გაჭირვებით ააღწია მწვერვალის თხემის თოვლიან ფერდობზე.

შალვა მარგიანი მეხუთედ ავიდა უშბაზე. მთამსვლელები გამარჯვებას ულოცავდნენ ერთმანეთს. მერე სამშვიდობოს რომ ჩამოაღწიეს და დასასვენებლად ჩამოსხდნენ, შალვამ წელს ზემოთ გაიხადა და მკლავზე დაიხედა. კუნთი მთლად ჩაშავებოდა და ხელის შეხებაზე ისე მოძრაობდა, როგორც მარილწყალში ჩავდებული კვერცხი.

ბიჭები გაოგნებული უყურებდნენ.

მერე უშბის ხუთგზის დამლაშქრავმა შალვა მარგიანმა თქვა, იმ ასვლით ბიჭები ისე იყვნენ გახარებული, მეცხრე ცაზე დაფრინავდნენ და არ მინდოდა მათთვის ზეიმი ჩამემწარებინა, ჩამოსვლამდე დუმილი და მოთმინება ვამჯობინეო.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

ავტორის ფოტოები.

# სტუდენტთა შეჯიბრებების კალენდარი

**ზეფილდში** ჩატარდა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სესია, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო (იტალია) და რომელმაც დაამტკიცა უახლოესი ორი წლის მანძილზე ჩასატარებელ შეჯიბრებათა კალენდარი.

1989 წლის ზამთრის უნივერსიადა მოეწყობა 18-28 თებერვალს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში. ამ ღონისძიების პროგრამაშია სამთოსათხილამურო სპორტი, თხილამურებით რბენა, ფიგურისტთა და ჰოკეისტთა შეჯიბრებები.

ზაფხულის უნივერსიადის პროგრამა (ტურნირი მოეწყობა ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში 1989 წლის 17-27 აგვისტოს) უფრო ვრცელია და სპორტის შემდეგ სახეობებს მოიცავს: მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ჩოგბურთი და შესაძლებელია ძიუდო.

1991 წლის თეთრ უნივერსიადას იაპონიის საკურორტო ქალაქი საპორო უმასპინძლებს. თარიღები მოგვიანებით დაზუსტდება, აი პროგრამა კი უკვე დამტკიცდა. სტუდენტი სპორტსმენები იასპარეზებენ: სამთოსათხილამურო სპორტში, სათხილამურო რბენებში, ფიგურულ სრიალსა და ჰოკეიში.

ამავე წლის ზაფხულის თამაშები ჩატარდება ინგლისის ქალაქ შეფილდში. პროგრამაშია: მძლეოსნობა, კალათბურთი, ფარიკაობა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი და ფრენბურთი.

დამტკიცდა, აგრეთვე, სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატების 1988 წლის კალენდარი. მძლეოსნური კროსი: 24 იანვარი, ბოლონია (იტალია); ცხენოსნობა: 6-10 ივლისი, სომიური (საფრანგეთი); ორიენტირება: 19-22 ივლისი, ტრონჰეიმი (ნორვეგია); ძიუდო: 19-23 დეკემბერი (თბილისი).

## ინფორმაცია

**ნანსი (საფრანგეთი).** ხმლით მოფარიკავეთა მსოფლიო თასის პირველი ტური უნგრელმა დიერდ ნებალდმა მოიგო. ფინალში მან ფრანგ ჟან-ფრანსუა ლიამურს აჯობა.

**ლახტი (ფინეთი).** აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში 17 წლის მინსკელის მარინა ლობაჩის გამარჯვებით დამთავრდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მას არც ერთ ვარჯიშში 10 ქულაზე ნაკლები შეფასება არ მიუღია.

**ლონდონი.** „გრან-პრი მასტერსის" ტურნირში წყვილთა შორის გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელებმა მიროსლავ მეჩირმა და ტომაშ შმიდმა მოიპოვეს. ფინალში მათ უიმბლდონის ჩემპიონები, ამერიკელი კენ ფლაკი და რობერტ სეგუსო დაამარცხეს 6:4, 7:5, 6:7, 6:3.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66436**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07278